საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/127 "11" აგვისტო 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნ. ჩახნაშვილის მცხეთის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილების მე-14 მუხლის შესაბამისად, მცხეთის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განსაზღვრულია 9 მოსამართლით. დღეისათვის სასამართლოში უფლებამოსილებას ახორციელებს 3 მოსამართლე. 2020 წლის 6 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წერილით მომართა მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ და საქმეთა ნაკადის ზრდისა და მოსამართლეთა შემადგენლობის გამო შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისათვის დროებითი ღონისძიების სახით მოითხოვა მოსამართლეთა მივლინება.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის მოთხოვნის გათვალისწინებით, მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლეთა არყოფნის გამო მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით მიემართათ ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს. მივლინებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა მოამართლე ნინო ჩახნაშვილის თანხმობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი მივლინებულ იქნეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად 2020 წლის 12 აგვისტოდან 2021 წლის 1 იანვრამდე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი